განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის

მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ ჩხეიძე, თბილისის სახ. კონსერვატორია, საქართველო

წევრები:

გაგა, გვენეტაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თამარ თხელიძე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერისტეტი, საქართველო

თბილისი
2026

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	გრიბოედოვის ქ.N 22, თბილისი, 0108, საქართველო
ვებ-გვერდი	www.art.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	2024 წლის 4 ოქტომბერი N 1357068
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 4 ოქტომბერი

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	52
ბაკალავრიატი	21
მაგისტრატურა	25
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	5
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	52
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	22

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			2700
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	2087	1331	14%
ბაკალავრიატი	1700	950	68%
მაგისტრატურა	322	349	42%
ერთსაფეხურიანი	-	-	-
დოქტორანტურა	45	32	66 %

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3[48] პუნქტში

მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	20	-	90%
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	11	9	-
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	3	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	588
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	119
- პროფესორი	25
- ასოცირებული პროფესორი	56
- ასისტენტ პროფესორი	38
- ასისტენტი	-
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	13
- მეცნიერი	13
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	119
- აფილირებული პროფესორი	25
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	56
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	38
- აფილირებული ასისტენტი	-
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	268
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	189

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	29833, 14 კვმ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	11878 კვმ
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	17955, 14 კვმ

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შესაბამისობის შეფასება ავტორიზაციის შემდეგ სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან მიმართებით:

სტანდარტი 1. კომპონენტი 1.2;
სტანდარტი 2. კომპონენტები: 2.1, 2.2, 2.3;
სტანდარტი 3. კომპონენტები: 3.2, 3.3;
სტანდარტი 4. კომპონენტი 4.1;
სტანდარტი 5. კომპონენტი 5.1;
სტანდარტი 6. კომპონენტები: 6.1, 6.2, 6.3;
სტადარტი 7. კომპონენტები: 7.1, 7.2, 7.3, 7.4.

მონიტორინგის ვიზიტის განხორციელებამდე ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია (დოკუმენტაცია გაზიარდა 17.03.2026), ჩაატარა ონლაინ ფორმატში წინამოსამზადებელი შეხვედრა (03.04.2026). მონიტორინგის ვიზიტი შედგა 6 აპრილს, რის ფარგლებშიც ჯგუფი შეხვდა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს (კანცლერი, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი, სამეცნიერო/შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არქიტექტურის ფაკულტეტისა და მედიახელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები), ადგილზე დაათვალიერა სასწავლო შენობები, ლაბორიატორიები და სახელოსნოები, საბიბლიოთეკო სივრცეები. დამატებით გამოითხოვა დოკუმენტაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა შეფერხების გარეშე. პროცესი წარიმართა კოლეგიალურ გარემოში.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის დაწესებულების წარმომადგენლებს სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნისთვის და რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით გაწეული საქმიანობისთვის.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: **2024 წლის 2-5 ივლისი**

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
1.2 რეკომენდებულია, რომ აკადემიამ მოკლევადიან სტრატეგიული განვითარების გეგმას დაამატოს შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI) კონკრეტული და მართვადი ვადებით. ამის შემდეგ ისინი უნდა აისახოს გრძელვადიანი სტრატეგიული	- **მეტწილად შესრულებულია**. რეკომენდაცია მეტწილად არის გათვალისწინებული; აკადემიამ დაიწყო KPI-ებზე დაფუძნებული დაგეგმვის ინტეგრირება, თუმცა მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებში მათი სრული, სისტემური ასახვა და კონკრეტულ ვადებთან მიბმა კვლავ გასაძლიერებელია.

განვითარების გეგმაში, სადაც უნდა დაემატოს უფრო მაღალი დონის KPI.	
2.1 რეკომენდებულია გაიზარდოს ღია კონკურსების სიხშირე და მასშტაბი ყველა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციისთვის, დეპარტამენტების ხელმძღვანელების ჩათვლით. ეს უზრუნველყოფს კვალიფიციური კანდიდატების უფრო ფართო არჩევანს და ხელს შეუწყობს დასაქმების პრაქტიკაში გამჭვირვალობის ამაღლებას.	- **ნაწილობრივ შესრულებულია**. რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გათვალისწინებული; კონკურსების პრაქტიკა გააქტიურდა, თუმცა იგი ჯერ არ არის ყველა ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციაზე სისტემურად გავრცელებული.
2.1 რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს და თანაბრად გაანაწილოს ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევა ყველა დეპარტამენტში, რათა მაქსიმალურად გაზარდოს გავლენა და ხელი შეუწყოს ყოვლისმომცველ გლობალურ ჩართულობას.	- **მეტწილად შესრულებულია**. რეკომენდაცია მეტწილად არის გათვალისწინებული; ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით პროგრესი აშკარაა, თუმცა აქტივობების თანაბარი განაწილება ყველა დეპარტამენტსა და ფაკულტეტზე ჯერ კიდევ შემდგომ განვითარებას საჭიროებს.
2.2 რეკომენდებულია, რომ კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების ფორმულირება განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელების, დეკანის მოადგილეების და პროგრამის მართვაში ჩართული სხვა ადმინისტრაციული პერსონალისგან დამოუკიდებლად. ამის მიღწევა შესაძლებელია მკაფიო პროტოკოლების დადგენით, რომლებიც გამიჯნავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირთა როლებს პროგრამის ხელმძღვანელობაში ჩართული პირების როლებისგან.	- **შესრულებულია**. რეკომენდაცია გათვალისწინებულია; როლების გამიჯვნის მიზნით დამტკიცებულია შესაბამისი წესი, რომელმაც ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დამოუკიდებლობა გააძლიერა.
2.2 რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ სტუდენტთა უკუკავშირის სანდოობისა და ვალიდურობის გასაუმჯობესებლად გაამრავალფეროვნოს თავისი მეთოდები ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ სავალდებულო გამოკითხვებს დაეყრდნოს.	- **მეტწილად შესრულებულია**. რეკომენდაცია მეტწილად არის გათვალისწინებული; აკადემიაში სტუდენტებთან უშუალო კომუნიკაცია ძლიერია, თუმცა უკუკავშირის მრავალფეროვანი და დოკუმენტირებული მექანიზმები კვლავ გასაძლიერებელია.
2.2 რეკომენდებულია მოგვარდეს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტები, რომლებიც წარმოიქმნება ორმაგი როლებიდან, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის გუნდების წევრები ასევე იკავებენ პროგრამის ხელმძღვანელების პოზიციებს.	- **ნაწილობრივ შესრულებულია**. რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გათვალისწინებული; აკადემიამ გადადგა ნაბიჯები როლების გამიჯვნის მიმართულებით, თუმცა ორმაგი როლებით გამოწვეული რისკები სრულად აღმოფხვრილი ჯერ არ არის.
2.2 რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის გაძლიერება ახალი წევრების დამატებით, რომლებიც არ არიან ჩართულნი პროგრამის მართვაში, რაც უზრუნველყოფს, რომ მათი როლები და პასუხისმგებლობები არ გადაიკვეთება.	- **ნაწილობრივ შესრულებულია**. რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გათვალისწინებული; გუნდის გაძლიერების პროცესი დაწყებულია, თუმცა ახალი, პროგრამის მართვაში არაჩართული წევრების სრულად დამატება ჯერ დასრულებული არ არის.

2.3 რეკომენდებულია, რომ თსსა-მ რეგულარულად ჩაატაროს სემინარები და ტრენინგები როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის, ციტირების სათანადო მეთოდებსა და აკადემიური რეფერირების სტანდარტებში მათი ცოდნის ამაღლების მიზნით	- **შესრულებულია.** რეკომენდაცია გათვალისწინებულია; აკადემიამ აკადემიური წერის, ციტირების, რეფერირებისა და კეთილსინდისიერების საკითხებზე ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების პრაქტიკა ჩამოაყალიბა.
2.3 რეკომენდებულია მკაფიო და თანმიმდევრული სახელმძღვანელო პრინციპების და პლაგიატის პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და გაგებას აკადემიურ საზოგადოებაში.	- **შესრულებულია.** რეკომენდაცია გათვალისწინებულია; აკადემიურ საზოგადოებას მიეწოდება მკაფიო ინფორმაცია პლაგიატის პრევენციის, ციტირების წესებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ.
3.2 რეკომენდებულია ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის სამაგისტრო კვლევითი კომპონენტის მკაფიო აღწერა და წერილობითი ნაშრომის სტრუქტურა, ადვილად ხელმისაწვდომი იყოს და ეფექტურად მიეწოდებოდეს სტუდენტებსა და პერსონალს.	- **შესრულებულია.** რეკომენდაცია გათვალისწინებულია; შესაბამისი დოკუმენტაცია დაზუსტებულია და კვლევითი კომპონენტის სტრუქტურა სტუდენტებისა და პერსონალისთვის უფრო ხელმისაწვდომად არის წარმოდგენილი.
3.2 რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები ენის მკაფიო და თანმიმდევრული წინაპირობების დადგენა, როგორც საჭირო ენის, ასევე მისი ცოდნის მოსალოდნელი დონის მითითებით.	- **შესრულებულია.** რეკომენდაცია გათვალისწინებულია; სამაგისტრო პროგრამებზე უცხო ენის მოთხოვნები უფრო მკაფიო და თანმიმდევრული ფორმით არის განსაზღვრული.
3.3 რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამების შეფასების კრიტერიუმების საფუძვლიანი შემოწმება ცალკეული ფაკულტეტის მსგავსად ასევე ხუთივე ფაკულტეტზე, შეფასების ცხრილის საერთო დასახელების სისტემის გათვალისწინებით, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე. ასევე, უზრუნველყოთ მათი შესაბამისობა საქართველოს სამართლებრივ აქტებთან. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულო უნდა გახდეს პერსონალის ტრენინგი შეფასების კრიტერიუმების წერასა და შეფასებაში.	-**შესრულებულია.** რეკომენდაცია გათვალისწინებულია; შეფასების კრიტერიუმების გადამუშავება და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება ფაკულტეტების დონეზე განხორციელდა, ხოლო პერსონალის მხარდაჭერა სამუშაო შეხვედრებითა და ტრენინგებით გრძელდება.
4.1 აკადემიური და კვლევითი პერსონალის საშუალო ასაკის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია აკადემიამ შეიმუშავოს ეფექტური სისტემა საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, ჩართვისა და შენარჩუნებისათვის; სხვა აუცილებელი აქტივობების გარდა, აკადემიისთვის მნიშვნელოვანია შექმნას პოსტდოქტორანტების და ასისტენტების დაქირავებისა და სასწავლო და კვლევით	**რეკომენდაცია შესრულებულია-** აკადემიაში დანერგილია ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და განვითარების მექანიზმები: მოქმედებს დოქტორანტთა მხარდაჭერის პროგრამა, ახალგაზრდები ჩართულნი არიან სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობაში და დასაქმებულნი არიან როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პოზიციებზე. ასევე, დაგეგმილია აკადემიური ვაკანსიების გამოცხადება, რაც დამატებით შეუწყობს ხელს ახალგაზრდა სპეციალისტების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

საქმიანობაში მათი ინტეგრაციის მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები.	
5.1 რეკომენდებულია აკადემიამ სტუდენტის გზამკვლევში შეიტანოს ინფორმაცია სტუდენტთა უფლებების შესახებ, რათა უზრუნველყოს სტუდენტების გაცნობიერება ამ საკითხებში, და მოძებნოს კომუნიკაციის უკეთესი მეთოდები, რაც შეავსებს პერსონალსა და სტუდენტებს შორის არსებულ უფრო არაფორმალურ ურთიერთობებს.	**რეკომენდაცია შესრულებულია** - სტუდენტთა გზამკვლევი განახლდა და მასში ასახულია სტუდენტთა ძირითადი უფლებები (სწავლის დაფინანსება, მობილობა, სტატუსთან დაკავშირებული საკითხები და სხვ.). უზრუნველყოფილია გზამკვლევზე ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხოლო ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება როგორც ელექტრონული პლატფორმებით, ისე საორიენტაციო შეხვედრებითა და არაფორმალური კომუნიკაციით. გზამკვლევი ასევე პერიოდულად ახლდება სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით.
5.1 რეკომენდებულია ეთიკის კოდექსში საჩივრების განხილვის პროცედურის ჩართვა.	**რეკომენდაცია შესრულებულია**- ეთიკის კოდექსში ინტეგრირებულია საჩივრების განხილვის პროცედურა, რომელიც ეფუძნება კონფიდენციალურობის პრინციპს. განსაზღვრულია საჩივრის ინიცირების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, მათ შორის სპეციალური კომისიის შექმნა და შესაბამისი სახდელების დაკისრების ან დაკისრებაზე უარის თქმა.
6.1 რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი და განვითარების სამსახურის სტრატეგიული განვითარების მიზნები შეესაბამებოდეს აკადემიისა და სამეცნიერო ცენტრების განვითარების სტრატეგიულ გეგმებს და ხედვას; დაწესებულებამ იზრუნოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სტრატეგიული განვითარების გეგმების კორელაციაზე და გადაამუშაოს გეგმა (დაამატოს გაზომვადი ინდიკატორები) დაწესებულების სამეცნიერო და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით.	**რეკომენდაცია შესრულებულია**- აკადემიამ უზრუნველყო სამეცნიერო-კვლევითი და განვითარების სამსახურის, კვლევითი ცენტრებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიზნების კორელაცია საერთო სტრატეგიულ გეგმასთან. ჩატარებული სამუშაო შეხვედრების საფუძველზე განისაზღვრა ერთიანი მიმართულებები, ხოლო განვითარების გეგმაში დამატებულია გაზომვადი, დროში გაწერილი ინდიკატორები, განსაზღვრული პასუხისმგებელი ერთეულები და დაფინანსების წყაროები, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტიან მონიტორინგს.
6.2 რეკომენდებულია აკადემიამ გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა და ჩართულობა თანამედროვე კვლევებში; რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების/აქტივობების განხორციელება, ასევე საერთაშორისო კვლევით/სახელოვნებო ცენტრებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ინსტიტუციური თანამშრომლობის	**რეკომენდაცია შესრულებულია**-აკადემიამ გააძლიერა საერთაშორისო თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა: განხორციელდა საერთაშორისო პროექტები და ღონისძიებები (მათ შორის დიზაინის კვირეული), გაფართოვდა სტუდენტთა და მკვლევართა მობილობა, მიმდინარეობს ERASMUS+ კვლევითი პროექტი და სხვადასხვა ერთობლივი ინიციატივები უცხოურ პარტნიორებთან. ასევე გაიზარდა აკადემიური აქტივობების საერთაშორისო ხილვადობა (მაგ., ჟურნალის ინდექსაცია და DOI მინიჭება), რაც ხელს უწყობს

	კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებას საერთაშორისო დონეზე.
6.3 რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტურობის ანალიზისა და გაზომვის სისტემა, რათა შეფასების შედეგები გამოიყენოს კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.	**რეკომენდაცია შესრულებულია**-აკადემიაში დანერგილია სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებს (პუბლიკაციები, ციტირებები, საერთაშორისო აქტივობა, ინოვაცია და სხვ.). გამოიყენება ინტეგრირებული მეთოდები და მონაცემთა მონიტორინგის პლატფორმები, რაც უზრუნველყოფს შედეგების ანალიზსა და გამოყენებას შემდგომი განვითარებისათვის. ასევე მიმდინარეობს შემოქმედებითი კვლევების შეფასების მექანიზმების დამატებითი განვითარება.
7.1 რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას ინკლუზიური და ხელმისაწვდომი გარემო ყველა კამპუსში და შეიმუშაოს კონკრეტული, რეალისტური გეგმა ამ მიზნის მისაღწევად.	**შესრულებულია.** რეკომენდაცია გათვალისწინებულია; ყველა კამპუსში შექმნილია ინკლუზიური და ხელმისაწვდომი გარემო. ხოლო ქანდაკების სახელოსნოს ახალი სასწავლო შენობასთან (მის: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. N64/ახმეტელის ქ.N10) მიმართებით არსებობს რეალისტური გეგმა ამ მიზნის მისაღწევად: დაგეგმილია შენობა-ნაგებობის და ეზოს მშენებლობა, დღეის მდგომარეობით შეთანხმებულია ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში ესკიზური პროექტი (ბრძანება N7336336, 27/12/2024 წ.) სადაც შენობა სრულად იქნება აღჭურვილი ეტლით მოსარგებლეთათვის პანდუსები, ლიფტი და სველი წერტილები. გეგმით გათვალისწინებულია ყველა იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც განისაზღვრა რეკომენდაციით.
7.1 რეკომენდებულია საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განახლება, განსაკუთრებით იმ კამპუსებში, სადაც ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად მოძველებულია და არ შეესაბამება სტანდარტებს (მაგალითად, კამპუსები ლაპიაშვილისა და ლუბლიანას ქუჩებზე).	**შესრულებულია.** რეკომენდაცია გათვალისწინებულია; ინფრასტრუქტურა განახლებულია ყველა სასწავლო შენობაში. ხოლო ქანდაკების სახელოსნოსთვის (მის: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. N64/ახმეტელის ქ.N10) დაგეგმილია შენობა-ნაგებობის და ეზოს მშენებლობა, დღეის მდგომარეობით შეთანხმებულია ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში.
7.1 რეკომენდებულია აკადემიამ განახორციელოს შენობების სტრუქტურული მთლიანობისა და სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებები (კვალიფიციური სუბიექტების მიერ) და შემდგომ შეიმუშაოს აუცილებელი მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა.	**მეტწილად შესრულებულია.** - დაწესებულებამ განახორციელა შენობების სტრუქტურული მთლიანობისა და სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებები და შეიმუშავა შეიმუშაოს აუცილებელი მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა. რეკომენდებულია დაწესებულებამ აღმოფხვრას გრიბოედოვის ქუჩაზე სასწავლო კორპუსის სახანძრო წყალმომარაგების სისტემაში

	გამოვლენილი ხარვეზი და ჩაატაროს ხელახალი ტესტირება. ასევე, ლუბლიანას ქუჩაზე იჯარით სარგებლობის სივრცეებში გააქტიუროს მუშაობა ინფრასტრუქტურაში ცვლილებების შესატანად.
7.1 რეკომენდებულია შემუშავდეს სასწავლო მასალების შენახვისა და გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები და განთავსდეს ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილებში.	**შესრულებულია.** რეკომენდაცია გათვალისწინებულია; პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია სასწავლო მასალების შენახვისა და გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, ლაბორატორიებისთვის/სახელოსნოებისთვის ქიმიშემუშავებულია დანადგარებზე უსაფრთხო მუშაობის ინსტრუქციები და განთავსებულია ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილებში.
7.1 რეკომენდებულია აკადემიამ ყველა კამპუსში დაამონტაჟოს სათვალთვალო კამერების ადეკვატური რაოდენობა.	**შესრულებულია.** რეკომენდაცია გათვალისწინებულია; კამპუსებში დაამონტაჟებულია სათვალთვალო კამერების ადეკვატური რაოდენობა.
7.1 რეკომენდებულია ყველა კამპუსი აღიჭურვოს სამედიცინო პუნქტებით ან ასეთი საშუალებები უზრუნველყოფილ იქნას კამპუსებს შორის საერთო სივრცეებში.	**შესრულებულია.** რეკომენდაცია გათვალისწინებულია; ყველა კამპუსი აღიჭურვილია სამედიცინო პუნქტებით, ინვენტარით, აყვანილია სამსახურში სამედიცინო პერსონალი.
7.2 რეკომენდებულია აკადემიის ბიბლიოთეკა განთავსდეს შესაბამის ტერიტორიაზე მისი ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად აღჭურვილ იქნას საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.	**შესრულებულია.** რეკომენდაცია გათვალისწინებულია; დასრულდა ბიბლიოთეკის ახალ სივრცეში გადასვლის პროცესი. წიგნადი ფონდი განთავსებულია თაროებზე განყოფილებების მიხედვით. საცავში გამოყოფილია ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის სამუშაო სივრცე ტექნიკური აღჭურვილობით, კომპიუტერებით აღჭურვილია ასევე. სამკითხველო სივრცე სტუდენტებისთვის და პედაგოგებისთვის. თუმცა დარბაზი ჯერ არ არის ექსპლუატაციაში შესული. სასურველია პროცესი დაჩქარდეს და სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულად ისარგებლონ საბიბლიოთეკო მომსახურებით.
7.2 რეკომენდებულია ბიბლიოთეკები განთავსდეს ცალკეულ კამპუსებში კომპიუტერული სივრცეების ჩათვლით, და/ან საერთო სივრცის შენობებში.	**შესრულებულია.** რეკომენდაცია გათვალისწინებულია; თბილისის სამხატვრო აკადემიის ბიბლიოთეკის სტრუქტურული ერთეულები ორ მისამართზეა. (გრიბოედოვის და გაბაშვილის ქუჩაზე არსებულ შენობებში). დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს „დისტანციური ბიბლიოთეკარის“ მომსახურება, კამპუსებში არსებული კომპიუტერებიდან შესაძლებელი წვდომა ელექტრონულ ბაზებზე, რაც საშუალებას უქმნის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს ყველა კამპუსში ჰქონდეთ წვდომა საბიბლიოთეკო რესურსებზე.

7.3 რეკომენდებულია აკადემიის ვებგვერდის ქართული და ინგლისური ვერსიები სრულად შეესაბამებოდეს ერთმანეთს.	- **რეკომენდაცია შესრულებულია.** ფაქტობრივი მდგომარეობით დასტურდება რომ ვებ-გვერდის ინგლისური ვერსია შესაბამისობაში ქართულთან. ძირითადი ინფორმაცია ორივე ენაზე განთავსებული, თუმცა არის გვერდები, სადაც შესავსები/განსაახლებელია ინფორმაცია ინგლისურ ენაზე. სასურველია დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა ქართული და ინგლისური ვერსიების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად.
7.3 რეკომენდებულია ყველა ანგარიში და სტატისტიკური მონაცემები დროულად გამოქვეყნდეს და განახლდეს შესაბამის ვადებში.	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.** ვებ გვერდზე ატვირთულია ადმინისტრაციული სამსახურების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები,ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემები. თუმცა, არ იძებნება მართვის ორგანოების (აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) და სხვა სტრუქტურული ერთეულების წლიური ანგარიშების შესახებ ინფორმაცია. გასაახლებელია დოკუმენტაცია ბრძანებების ველშიც. **რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების** (დაწესებულების წლიური ანგარიშები, ფინანსური ანგარიშგებები, მიმდინარე და განხორციელებული კვლევები, ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები და. ა.შ) **ვებ-გვერდზე დროული განთავსება, რათა სრულად უპასუხოს კომპონენტის მოთხოვნას - ინფორმაციის განახლება მოხდეს რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.**
7.4 გამჭვირვალობის გაძლიერების მიზნით და კომპეტენციების განაწილების პრინციპის დასაცავად, რეკომენდებულია ბიუჯეტში მკაფიოდ იყოს მითითებული სხვადასხვა საქმიანობისთვის გამოყოფილი ხარჯების ოდენობები. ამასთან, მასში დეტალურად იყოს გაწერილი სტუდენტთა მხარდაჭერის აქტივობებისთვის, სამეცნიერო განვითარების ხელშეწყობისთვის და საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესებისთვის გამოყოფილი თანხები.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2025 წლის ბიუჯეტში მაქსიმალურად ასახულია სხვადასხვა საქმიანობისთვის (სტუდენტთა მხარდაჭერის აქტივობებისთვის, სამეცნიერო განვითარების ხელშეწყობისთვის და საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესებისთვის) გამოყოფილი ხარჯები. აქვე აღსანიშნავია, რომ ვინაიდან საქართველოში ამჟამად მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში, არსებითად შეიცვლება საზოგადოდ უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემა, დაწესებულება მოკლებულია შესაძლებლობას წარმოვადგინოს 2026 წლის ბიუჯეტი.
7.4 რეკომენდებულია აკადემიის სტრატეგიული გეგმების მისაღწევად საჭირო ხარჯვითი მოთხოვნების დადგენა, და არა მხოლოდ დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება. ამასთან, უზრუნველყავით, რომ ეს ხარჯები დაკავშირებული იყოს	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სამხატვრო აკადემიამ განსაზღვრა სტრატეგიული გეგმების ეფექტიანი რეალიზებისთვის აუცილებელი ფინანსური საჭიროებები. 2025 წლის მოქმედ ბიუჯეტში კომპონენტების მიზნობრივმა სეგრეგირებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ფინანსური გამჭვირვალობა, რაც

ბიუჯეტში გაზომვად ინდიკატორებთან მათი ეფექტურობის.	დადებითად აისახა ინსტიტუციური მმართველობის ხარისხზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- აკადემიამ უნდა უზრუნველყოს KPI-ების მოკლევადიან და გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმებში სისტემური ინტეგრირება, ისე, რომ თითოეულ ინდიკატორს ახლდეს კონკრეტული ვადა, პასუხისმგებელი ერთეული და გაზომვის წესი.
- აკადემიამ უნდა გააძლიეროს ღია კონკურსების პრაქტიკა ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე, მათ შორის დეპარტამენტების ხელმძღვანელთა შემთხვევაში, რათა შერჩევის პროცესი გახდეს უფრო სისტემური და გამჭვირვალე.
- აკადემიამ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის აქტივობების უფრო თანაბარი განაწილება ყველა ფაკულტეტსა და დეპარტამენტში და ეს ასახოს კონკრეტულ ერთეულების გეგმებსა და ინდიკატორებში.
- აკადემიამ უნდა გააგრძელოს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების შემცირება და ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციები მაქსიმალურად გამიჯნოს პროგრამის ხელმძღვანელობის ფუნქციებისგან.
- აკადემიამ უნდა გააძლიეროს ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი ახალი წევრების დამატებით, რომლებსაც ექნებათ კვლევების დამუშავების და ანალიზის კომპეტენციები.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ აღმოფხვრას გრიბოედოვის ქუჩაზე სასწავლო კორპუსის სახანძრო წყალმომარაგების სისტემაში გამოვლენილი ხარვეზი და ჩაატაროს ხელახალი ტესტირება. ასევე, ლუბლიანას ქუჩაზე იჯარით სარგებლობის სივრცეებში გააქტიუროს მუშაობა ინფრასტრუქტურაში ცვლილებების შესატანად (7.1);
- რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების ვებ-გვერდზე დროული განთავსება, რათა სრულად უპასუხოს კომპონენტის მოთხოვნას - ინფორმაციის განახლება მოხდეს რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი (7.3).

რჩევები

- სასურველია, აკადემიამ მომავალშიც განაგრძოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სამეცნიერო წერის კულტურის განვითარებაზე მიმართული ტრენინგები და ეს აქტივობები ეტაპობრივად უფრო ფართომასშტაბიანი გახადოს, რათა სისტემურად მოიცვას ყველა ფაკულტეტის სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.
- სასურველია პროცესი დაჩქარდეს და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულად ისარგებლონ საბიბლიოთეკო მომსახურებით (7.2).
- სასურველია დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა ქართული და ინგლისური ვერსიების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად (7.3).

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. თამარ ჩხეიძე (თავმჯდომარე)
2. გაგა გვენეტაძე (წევრი)
3. თამარ თხელიძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები[4]; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობისას).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
o უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).

[4] ეს რეკომენდაციები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ავტორიზაციის, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და/ან ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებულ ბოლო შეფასებასთან.

- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- რეკომენდებულია, რომ აკადემიამ მოკლევადიან სტრატეგიული განვითარების გეგმას დაამატოს შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI) კონკრეტული და მართვადი ვადებით. ამის შემდეგ ისინი უნდა აისახოს გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სადაც უნდა დაემატოს უფრო მაღალი დონის KPI. - **მეტწილად შესრულებულია**

აკადემიამ დაიწყო რეკომენდაციის შესრულება და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტებში ინდიკატორებზე დაფუძნებული მიდგომის ინტეგრირება. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, არსებულ სტრატეგიულ გეგმას დაერთო სტრუქტურული ერთეულების, კვლევითი ცენტრებისა და ფაკულტეტების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები, რომლებშიც გაწერილია შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI). ასევე, სამუშაო ჯგუფის მანდატში პირდაპირ აისახა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ინდიკატორების შემუშავების ამოცანა. აღნიშნულ პროგრესს ადასტურებს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაც, რომელიც მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ლოგიკაზეა აგებული.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის პირობებში უნივერსიტეტისთვის რიგ მიმართულებებში კონკრეტული სამიზნე ნიშნულებისა და საბოლოო რაოდენობრივი პარამეტრების წინასწარ განსაზღვრა კვლავაც გამოწვევად რჩება. ეს უკავშირდება იმას, რომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ჯერ საბოლოოდ არ არის მიღებული და დამოკიდებულია არა მხოლოდ ინსტიტუციურ დონეზე, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოებზე, მათ შორის საქართველოს მთავრობაზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს პოზიციებსა და გადაწყვეტილებებზე. აღნიშნულის გამო, ამ ეტაპზე განსაზღვრული ინდიკატორების ნაწილი უფრო წინასწარი საორიენტაციო ხასიათისაა და საჭიროებს შემდგომ დაზუსტებასა და საბოლოო პოლიტიკურ-ნორმატიულ ჩარჩოსთან უფრო მკაფიო მიბმას. შესაბამისად, რეკომენდაციის შესრულების მიმართულებით არსებობს პროგრესი, თუმცა ვერ დასტურდება, რომ მოკლევადიან გეგმაში KPI-ები უკვე სრულად არის დაკავშირებული კონკრეტულ, მართვად ვადებთან, ხოლო გრძელვადიან გეგმაში სისტემურად არის ასახული უფრო მაღალი დონის KPI-ები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები
- ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში – სტანდარტი 1.2-ის აღწერა.
- ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის სამუშაო ჯგუფის აღწერა და დამატებითი დოკუმენტები.
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია 2024–2029.

რეკომენდაციები:

- აკადემიამ უნდა უზრუნველყოს KPI-ების მოკლევადიან და გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმებში სისტემური ინტეგრირება, ისე, რომ თითოეულ ინდიკატორს ახლდეს კონკრეტული ვადა, პასუხისმგებელი ერთეული და გაზომვის წესი.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
o უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. o უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. o უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. o უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • რეკომენდებულია გაიზარდოს ღია კონკურსების სიხშირე და მასშტაბი ყველა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციისთვის, დეპარტამენტების ხელმძღვანელების ჩათვლით. ეს უზრუნველყოფს კვალიფიციური კანდიდატების უფრო ფართო არჩევანს და ხელს შეუწყობს დასაქმების პრაქტიკაში გამჭვირვალობის ამაღლებას. - **ნაწილობრივ შესრულებულია** რეკომენდაციის საპასუხოდ აკადემიამ გააქტიურა ვაკანტურ ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე კონკურსის გზით შერჩევის პრაქტიკა და საანგარიშო პერიოდში რამდენიმე პოზიციაზე კონკურსი გამოაცხადა. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2025 წლის ივლის-აგვისტოში ღია კონკურსი გამოცხადდა ქონების მართვის მთავარი კოორდინატორისა და მედიახელოვნების ფაკულტეტის უფროსი კოორდინატორის პოზიციებზე, მათ შორის jobs.ge-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ერთ შემთხვევაში კანდიდატი შეირჩა და დაინიშნა, მეორე შემთხვევაში კი შესაფერისი კანდიდატი ვერ გამოვლინდა. ამასთან, ექსპერიმენტალური სტუდია-ლაბორატორიის მენეჯერის პოზიციაზე გამოცხადდა შიდა კონკურსი, ხოლო რამდენიმე თანამშრომლის შემთხვევაში გამოყენებულ იქნა დაწინაურების მექანიზმიც. ეს მიუთითებს, რომ დაწესებულებაში კონკურსული შერჩევის მექანიზმი გამოიყენება და ღია კონკურსის პრაქტიკა ნაწილობრივ გაძლიერდა. თუმცა, წარმოდგენილი მასალებით ჯერ არ დასტურდება, რომ ღია კონკურსების სიხშირე და მასშტაბი უკვე სისტემურად გაიზარდა ყველა ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციაზე, დეპარტამენტების ხელმძღვანელების ჩათვლით. უფრო მეტიც, საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოყენებულია შიდა კონკურსისა და უკონკურსო დაწინაურების მექანიზმებიც, რაც აჩვენებს, რომ რეკომენდაციით მოთხოვნილი მიდგომა ჯერ სრულად ინსტიტუციონალიზებული არ არის. • რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს და თანაბრად გაანაწილოს ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევა ყველა დეპარტამენტში, რათა მაქსიმალურად გაზარდოს გავლენა და ხელი შეუწყოს ყოვლისმომცველ გლობალურ ჩართულობას. - **მეტწილად შესრულებულია** დაწესებულებამ რეკომენდაციის საპასუხოდ გააძლიერა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა როგორც სტრატეგიული, ისე პრაქტიკული მიმართულებით. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია 2024–2029

განსაზღვრავს მიზნებს, ამოცანებსა და ინდიკატორებს, რომლებიც მოიცავს საერთაშორისო პარტნიორული ქსელის გაფართოებას, სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობებს, ინსტიტუციური განვითარების პროექტებს, უცხოელი და ადგილობრივი პროფესორების თანახელმძღვანელობის ხელშეწყობას, ასევე საერთაშორისო არტ-რეზიდენციებისა და ერთობლივი შემოქმედებითი აქტივობების განვითარებას. საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი მასალები ასევე აჩვენებს, რომ ინტერნაციონალიზაციის აქტივობები უკვე აღარ უკავშირდება მხოლოდ ცალკეულ ერთეულებს, არამედ მოიცავს სხვადასხვა ფაკულტეტსა და მიმართულებას. კერძოდ, აღწერილია თანამშრომლობის გაფართოება POLIMI-სა და Farm Cultural Park-თან, რომელშიც ჩართული იყვნენ არქიტექტურის ფაკულტეტისა და რესტავრაციის მიმართულების სტუდენტები; 2025 წლის დიზაინის საერთაშორისო კვირეული, რომელშიც მონაწილეობდა 65 სტუდენტი და 17 პროფესორი 5 უნივერსიტეტიდან და რომელიც მოიცავდა დიზაინის ფაკულტეტის 7 მიმართულებას; CARTES-ის კონსორციუმთან თანამშრომლობა, რომელიც დაკავშირებულია გრაფიკის, რესტავრაციისა და ინტერიერის დიზაინის მიმართულებების სტუდენტურ სტაჟირებებთან; ასევე ახალი პროგრამის ინიცირება საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე და სახვითი ხელოვნების კვირეულის დაგეგმვა. გარდა ამისა, ანგარიშში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის სტრატეგია მიმართულია აკადემიის ყველა ფაკულტეტისა და ყველა სპეციალობის უფრო აქტიური ჩართვისკენ. ამასთან, მიუხედავად აშკარა პროგრესისა, წარმოდგენილი დოკუმენტებით ჯერ სრულად ვერ დასტურდება, რომ ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევა უკვე თანაბარი ინტენსივობით არის განაწილებული ყველა დეპარტამენტსა და ერთეულზე. რამდენიმე აქტივობა ჯერ დაგეგმვის ან განვითარების ეტაპზეა, ხოლო ზოგ შემთხვევაში უფრო მკაფიოდ ჩანს კონკრეტული ფაკულტეტების მაღალი ჩართულობა, ვიდრე ყველა დეპარტამენტის თანაბრად მოცვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუები • ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში - 2.1 კომპონენტის პირველი რეკომენდაციის აღწერა, სადაც მითითებულია jobs.ge-ზე გამოცხადებული ღია კონკურსები, შიდა კონკურსი და დაწინაურების შემთხვევები. • დანართი „ინტერნაციონალიზაცია“ — სხვადასხვა ფაკულტეტისა და მიმართულების ჩართულობით განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები. • ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში - 2.1 კომპონენტის მეორე რეკომენდაციის აღწერა • ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია 2024–2029.
რეკომენდაციები: • აკადემიამ უნდა გააძლიეროს ღია კონკურსების პრაქტიკა ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე, მათ შორის დეპარტამენტების ხელმძღვანელთა შემთხვევაში, რათა შერჩევის პროცესი გახდეს უფრო სისტემური და გამჭვირვალე. • აკადემიამ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის აქტივობების უფრო თანაბარი განაწილება ყველა ფაკულტეტსა და დეპარტამენტში და ეს ასახოს კონკრეტულ ერთეულების გეგმებსა და ინდიკატორებში.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- რეკომენდებულია, რომ კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების ფორმულირება განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელების, დეკანის მოადგილეების და პროგრამის მართვაში ჩართული სხვა ადმინისტრაციული პერსონალისგან დამოუკიდებლად. ამის მიღწევა შესაძლებელია მკაფიო პროტოკოლების დადგენით, რომლებიც გამიჯნავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირთა როლებს პროგრამის ხელმძღვანელობაში ჩართული პირების როლებისგან. - **შესრულებულია**.

აკადემიამ რეკომენდაციის საპასუხოდ შეიმუშავა და აკადემიური საბჭოს დონეზე დაამტკიცა წესი, რომელიც კვლევის შედეგების ანალიზის პროცესს პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის მართვაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალისგან მიჯნავს. აღნიშნული ცვლილება ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის მეტ დამოუკიდებლობას და ამ მიმართულებით არსებით პროგრესზე მიუთითებს.

- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ სტუდენტთა უკუკავშირის სანდოობისა და ვალიდურობის გასაუმჯობესებლად გაამრავალფეროვნოს თავისი მეთოდები ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ სავალდებულო გამოკითხვებს დაეყრდნოს. - **მეტწილად შესრულებულია.**

აკადემია სწორად უსვამს ხაზს, რომ სახელოვნებო განათლების სპეციფიკა უშუალო კომუნიკაციას და მცირერიცხოვან ჯგუფებში მუშაობას განაპირობებს. ეს მნიშვნელოვანია კონტექსტისთვის, მაგრამ მხოლოდ ეს არგუმენტი ვერ ცვლის მრავალფეროვანი, სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმების საჭიროებას. მოცემული მასალებით მკაფიოდ არ ჩანს, რომ სავალდებულო გამოკითხვებს დაემატა სისტემური ალტერნატიული ფორმები, მაგალითად ფოკუს-ჯგუფები, სტრუქტურირებული ინტერვიუები, კურსის შემდგომი განხილვები ან სხვა დოკუმენტირებული ინსტრუმენტები.

- რეკომენდებულია მოგვარდეს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტები, რომლებიც წარმოიქმნება ორმაგი როლებიდან, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის გუნდების წევრები ასევე იკავებენ პროგრამის ხელმძღვანელების პოზიციებს. - **ნაწილობრივ შესრულებულია**.

აკადემიამ გადადგა ნაბიჯი ინტერესთა კონფლიქტის შემცირების მიმართულებით და გარკვეულ პროცესებში როლების გამიჯვნის წესი შეიმუშავა. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი მასალები არ იძლევა იმის მკაფიო დადასტურების შესაძლებლობას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციასა და პროგრამის მართვასთან დაკავშირებული ორმაგი როლები უკვე სრულად არის აღმოფხვრილი ან სისტემურად დარეგულირებული ინსტიტუციურ დონეზე. შესაბამისად, რეკომენდაცია ამ ეტაპზე ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს.

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის გაძლიერება ახალი წევრების დამატებით, რომლებიც არ არიან ჩართულნი პროგრამის მართვაში, რაც უზრუნველყოფს, რომ მათი როლები და პასუხისმგებლობები არ გადაიკვეთება. - **ნაწილობრივ შესრულებულია**.

აკადემიამ დაიწყო ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის გაძლიერება ფაკულტეტების დონეზე არსებული ადმინისტრაციული თანამშრომლების ჩართვით და ცენტრალური სამსახურის დამატებითი გაძლიერებაც დაგეგმა. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი მასალებით ჩანს, რომ ახალი საშტატო ერთეულების დამატება ჯერ სრულად განხორციელებული არ არის და პროცესის ნაწილი კვლავ დაგეგმვის ეტაპზეა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები
- ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, სტანდარტი 2.2.
- სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ ბრძანება №25-ს/ხ.
- ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც 2.2-ის რეკომენდაციებია განსაზღვრული.
- ფაკულტეტის თვითშეფასების მექანიზმი/ხარისხის შეფასების სისტემა.
- სტუდენტთა უკუკავშირის მეთოდების დივერსიფიკაციის ნაწილში დამატებითი ცალკე მტკიცებულებები შეზღუდულად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაციები:

- აკადემიამ უნდა გააგრძელოს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების შემცირება და ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციები მაქსიმალურად გამიჯნოს პროგრამის ხელმძღვანელობის ფუნქციებისგან.
- აკადემიამ უნდა გააძლიეროს ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი ახალი წევრების დამატებით, რომლებსაც ექნებათ კვლევების დამუშავების და ანალიზის კომპეტენციები.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- o უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- o უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- o უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- რეკომენდებულია, რომ თსსა-მ რეგულარულად ჩაატაროს სემინარები და ტრენინგები როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის, ციტირების სათანადო მეთოდებსა და აკადემიური რეფერირების სტანდარტებში მათი ცოდნის ამაღლების მიზნით. - **შესრულებულია**

აკადემიამ უზრუნველყო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ციტირების სათანადო მეთოდებსა და აკადემიური რეფერირების სტანდარტებთან დაკავშირებული ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება. წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული ფოტომასალის მიხედვით, აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა რეგულარული აქტივობები, რაც ადასტურებს, რომ საკითხი მხოლოდ დოკუმენტურ დონეზე არ დარჩენილა და პრაქტიკაში დაინერგა. ამასთან, აკადემიაში მოქმედი შესაბამისი დოკუმენტები და აკადემიური ზედამხედველობის მექანიზმები ციტირების სტანდარტების დაცვას დამატებით

ამყარებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაციით მოთხოვნილი ტრენინგების ჩატარების პრაქტიკა ჩამოყალიბებულია და რეკომენდაცია შესრულებულია.

- რეკომენდებულია მკაფიო და თანმიმდევრული სახელმძღვანელო პრინციპების და პლაგიატის პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და გაგებას აკადემიურ საზოგადოებაში. - **შესრულებულია**

აკადემიამ აკადემიურ საზოგადოებას მიაწოდა მკაფიო და თანმიმდევრული ინფორმაცია ციტირების წესების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის შესახებ. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამ მიმართულებითაც განხორციელდა კონკრეტული აქტივობები და თანდართულია შესაბამისი ფოტომასალა, რაც ადასტურებს ინფორმაციის გავრცელებისა და ცნობიერების ამაღლების პრაქტიკულ ხასიათს. ამასთან, ACADEMIA-ს ჟურნალის გაიდლაინები დეტალურად განსაზღვრავს დამოწმებისა და ციტირების წესებს, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციებში პირდაპირ არის გათვალისწინებული აკადემიური წერის სტილის, ბიბლიოგრაფიის სიზუსტისა და ციტირების სტანდარტების კონტროლი. აღნიშნული გარემოებები აჩვენებს, რომ პლაგიატის პოლიტიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აკადემიაში როგორც ნორმატიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე უზრუნველყოფილია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები
- ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, სტანდარტი 2.3 - ტრენინგების ორი ციკლის, თემატიკის, თარიღებისა და დამსწრეთა რაოდენობის აღწერა.
- თანდართული ფოტომასალა, რომელიც ასახავს ჩატარებულ ტრენინგებს.
- ACADEMIA-ს ჟურნალის გაიდლაინები - ციტირების წესები, ორიგინალურობის შემოწმება და პლაგიატის გამორიცხვის პრინციპები.
- „MA - საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის მოვალეობა“ - აკადემიური წერის სტილის, ბიბლიოგრაფიის სიზუსტისა და ციტირების სტანდარტების დაცვის კონტროლი.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

- სასურველია, აკადემიამ მომავალშიც განაგრძოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სამეცნიერო წერის კულტურის განვითარებაზე მიმართული ტრენინგები და ეს აქტივობები ეტაპობრივად უფრო ფართომასშტაბიანი გახადოს, რათა სისტემურად მოიცვას ყველა ფაკულტეტის სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდებულია ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის სამაგისტრო კვლევითი კომპონენტის მკაფიო აღწერა და წერილობითი ნაშრომის სტრუქტურა, ადვილად ხელმისაწვდომი იყოს და ეფექტურად მიეწოდებოდეს სტუდენტებსა და პერსონალს. - **შესრულებულია**

აკადემიამ უზრუნველყო სამაგისტრო კვლევითი კომპონენტის, წერილობითი ნაშრომის სტრუქტურისა და საკვალიფიკაციო ნაშრომთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნების დოკუმენტური დაზუსტება და ხელმისაწვდომობა. ამასთან, მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის კონტექსტში, როდესაც ტრადიციულად 120-კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურის გადახედვა აქტუალურია, აკადემია მუშაობს პროგრამების შესაბამის გადააწყობაზე, მათ შორის იმგვარ მოდელზე, რომ კვლევითი კომპონენტი ცალკე 60-კრედიტიანი პროგრამის სახითაც ჩამოყალიბდეს. პარალელურად, აკადემიის მიდგომა მიმართულია იმაზეც, რომ კვლევითი კომპონენტი, შინაარსობრივი და აკადემიური დატვირთვის გათვალისწინებით, დარჩეს იმ 60-კრედიტიან პროგრამებშიც, რომლებიც ახალი მოდელის ფარგლებში განხორციელდება. წარმოდგენილი მასალებით ასევე ჩანს, რომ აკადემიაში უკვე არსებობს 60-კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის მაგალითი, რომელშიც კვლევითი კომპონენტი პროგრამის შიგნით არის ინტეგრირებული, კერძოდ, „მოდის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამა 60 ECTS კრედიტს მოიცავს და მის

სტრუქტურაში გათვალისწინებულია 20-კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომი. შესაბამისად, შესაბამისი დოკუმენტაციის დაზუსტება და კვლევითი კომპონენტის ახალ სტრუქტურულ ჩარჩოში მოქცევა მიმდინარეობს ისე, რომ სტუდენტებისა და პერსონალისთვის ინფორმაცია იყოს მკაფიო, ხელმისაწვდომი და პრაქტიკულად გამოსაყენებელი.

რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები ენის მკაფიო და თანმიმდევრული წინაპირობების დადგენა, როგორც საჭირო ენის, ასევე მისი ცოდნის მოსალოდნელი დონის მითითებით. - **შესრულებულია**

აკადემიამ სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები ენის წინაპირობები უფრო მკაფიო და თანმიმდევრული ფორმით განსაზღვრა. ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიშში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად დადგენილია ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე, ხოლო თითოეული პროგრამის შემთხვევაში მკაფიოდ არის მითითებული როგორც უცხო ენის გამოცდის აუცილებლობა, ისე მისი ცოდნის მოთხოვნილი დონე. ეს მიდგომა უკვე აისახა შესაბამის პროგრამულ დოკუმენტაციაში; მაგალითად, არქიტექტურის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მითითებულია ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები
- ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, სტანდარტი 3.2.
- სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები, სადაც მითითებულია ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის B2 დონე.
- „მოდის დიზაინის“ 60-კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტაცია, როგორც ახალი სტრუქტურული მოდელის მაგალითი.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამების შეფასების კრიტერიუმების საფუძვლიანი შემოწმება ცალკეული ფაკულტეტის მსგავსად ასევე ხუთივე ფაკულტეტზე, შეფასების ცხრილის საერთო დასახელების სისტემის გათვალისწინებით, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე. ასევე,

უზრუნველყოთ მათი შესაბამისობა საქართველოს სამართლებრივ აქტებთან. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულო უნდა გახდეს პერსონალის ტრენინგი შეფასების კრიტერიუმების წერასა და შეფასებაში. რეკომენდაციის შესრულების მიმართულებით აკადემიამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები პროგრამების შეფასების კრიტერიუმების გადახედვისა და დაზუსტების თვალსაზრისით. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, შესაბამის ფაკულტეტებზე განხორციელდა შეფასების კრიტერიუმების, სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიისა და სამიზნე ნიშნულების გადამუშავება, ხოლო მტკიცებულებებად მითითებულია როგორც დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს არაერთი ოქმი, ისე მედიახელოვნების ფაკულტეტის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ თითოეულ ფაკულტეტზე დაგეგმილია სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების გრაფიკი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, რაც მიუთითებს პერსონალის მხარდაჭერასა და შეფასების პრაქტიკის შემდგომ დახვეწაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუები • ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, სტანდარტი 3.3. • დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები: №13 (21.11.2024), N9 (02.09.2025), №10 (04.11.2025). • მედიახელოვნების ფაკულტეტის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები. • ანგარიში, სადაც აღნიშნულია ფაკულტეტებზე სამუშაო შეხვედრების/ტრენინგების წლიური გრაფიკის დაგეგმვა.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- აკადემიური და კვლევითი პერსონალის საშუალო ასაკის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია აკადემიამ შეიმუშავოს ეფექტური სისტემა საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, ჩართვისა და შენარჩუნებისათვის; სხვა აუცილებელი აქტივობების გარდა, აკადემიისთვის მნიშვნელოვანია შექმნას პოსტდოქტორანტების და ასისტენტების დაქირავებისა და სასწავლო და კვლევით საქმიანობაში მათი ინტეგრაციის მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები- **შესრულებულია**

სამხატვრო აკადემიის ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალგზარდა კადრების მოზიდვა და საქმება ინსტიტუციის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადდგენს. ამ მიმართულებით უნივერისტეტში არსებობს დოქტორანტთა ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2025 წელს 5 დოქტორანტი იმყოფებოდა გრაცის უნივერისტეტში. ასევე აკადემიის სადოქტორო პროგრამების კურსდმათვრებულები ჩართულები არიან სხვადასხვა სამეცნიერო აქტიცობებში, როგორიცაა მაგალითად სახელმძღვანელოების შემუშავება. უნივერისტეტმა ასევე წარმოადგნინა 35 წლამდე ასაკის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ ინფრომაცია,რაც ცხადყოფს, რომ დაწესებულება ზრუნავს საკუთარი კურსდამთავრებულების აკადემიაში დასაქმებზე. სახვითი ხელოვნების, დიზაინის და მედიახელოვნების ფაკულტეტეზე დასაქმებულია რამდენიმე ახალგაზრდა ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე. ასევე, უნივერიტეტში ფუქნციონირებს კონსერვაციის ცენტრი, სადაც მეცნიერ-თანამშრომლის თანამდობებს იკავებს აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის პერსონალი. აკადემიაში მოწვეული პერსონალის თანამდებობაზე დასაქმებულია არაერთი ახალგაზრდა, რასაც ასევე ადასტურებს უნივერისტეტის მიერ მოწოდებული ინორმაცია. აკადემიურ და სამეცნიერო სფეროსთან ერთად, უნივერსიტეტი ზრუნავს კადრების გაახალგზარდავებაზე, რისი ნათელი მაგალითიცაა დაწესებულებაში დასაქმებული ადამინსიტრაციული პეროსნალის შესახებ იფნრომაცია.

როგორც ინტერვიუებისას აღინიშნა, 2026 წლის ზაფხულში დაგეგმილი იყო აკადემიური ვაკანსიების ღია კონკურსის გამოცხადება, ფაკულტეტები ამზადებდნენ მოთხოვნებსა და შეფასების კრიტერიუმებს, რომლის მიზანიც იყო ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა და დასაქმება. უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობს პროგრამების განახლება და აკადემიური პერსონალის ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ პრიორიტეტად რჩება ახალგაზრდა კადრების ჩართვა პედაგოგიურ, შემოქმედებით და კვლევით საქმიანობაში, ასევე პოსტდოქტორანტებთან თანამშრომლობის გაძლიერება.

უნივერისტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, აღნიშნული რეკომენდაცია შესაძლებელია შესრულებულად ჩაითვალოს. თუმცა, სასურვლია, რომ დაწესებულებამ განაგრძოს მუშაობა ამ მიმართულებით და მუდმივად იზრუნოს ახალგზარდა კადრების მოზიდვაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები
- 35 წლის ასაკამდე თანამშრომელთა სია
- ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: სასურველია, რომ დაწესებულებამ კიდევ უფრო გააუმჯობესოს ახალგაზრდა კადრების აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობა. მუდმივად იზრუნოს მათიმხარდაჭერის მექანიზმების განვითარებაზე.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს

სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • რეკომენდებულია აკადემიამ სტუდენტის გზამკვლევში შეიტანოს ინფორმაცია სტუდენტთა უფლებების შესახებ, რათა უზრუნველყოს სტუდენტების გაცნობიერება ამ საკითხებში, და მოძებნოს კომუნიკაციის უკეთესი მეთოდები, რაც შეავსებს პერსონალსა და სტუდენტებს შორის არსებულ უფრო არაფორმალურ ურთიერთობებს.“ - **შესრულებულია** ავტორიცაზიის მონიტროინგის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სტუდენტების გზამკვკვლევში მუმდივად შედის ცვლილებები ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე. უნიევრისიტეტის მიერ განახლებული გზამკვლევი შეიცავს ინფრომაციას იმ ძირითადი უფლებების შესახებ, რომლის ცოდნაც მნიშვნელოვანია პირველსემესტრელი სტუდენტეისთვის, მაგ: სწავლის დაფინანსების, საგნის გადაბარების, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწვეტის უფლებები. მიუხედავად ამისა, გზამკვლევში ვერ ვხვდებით ინფორმაციას სტუდენტური ცხოვრების, გაცლითი პროგრამების, თვითმმართველობის შესახებ. სასურველია, რომ უნივერისტეტმა აღნიშნულ საკითხებზე ინფრომაცია განათავსოს სტუდენტურ გზამკვლევში, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების სრულყოფილი ინფორმირება. სტუდნეტებს აღნიშნულ გზამკვლევზე წვდომა აქვთ უნივერისტეტის ვებ გვერდზე. ასევე, აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ელექტორნული პლატფორმები. პირველსემესტრელ სტუდენტებს სწავლის დაწყებისას უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრები, სადაც ეცნობიან მათთვის მნიშვნელოვან და საჭირო ინფორმაციას. დაწესებულების წარმომადგნლებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ სტუდენტების მიერ დასმული კითხვების საფუძველზე მუდმივად ხდება გზამკვლევის განახლება. ინფრომაცია კი მიეწოდებათ სტუდენტებს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მეთოდებით. • 5.1 ქვესტანდარტში გაცემულ იქნა მეორე რეკომენდაცია: რეკომენდებულია ეთიკის კოდექსში საჩივრების განხილვის პროცედურის ჩართვა. - **შესრულებულია.** ეთიკის კოდექსში განთავსებულია ინფრომაცია საჩივრის განხილვის პროცედურის შესახებ და დგას კონფიდენციალურობის პრინციპზე. საჩივრის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ფაკულტეტის ხელმძღვანელი, ან კანცლერი, ან ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი მიმართავს რექტორს, რომლის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც წარმოადგენს დასკვნას, აკადემიის შინაგანაწესის მე-14 მუხლით განსაზღვრული სახდელების დადების ან დადებისგან უარის თქმის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტუდენტის გზამკვლევი 2024 • ინტერვიუები • ეთიკის კოდექსი • ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

სასურველია, სუტდენტების გზამკვლევში განთავსდეს ინფრომაცია სსტუდენტური ცხოვრების, გაცლითი პროგრამების, თვითმმართველობის შესახებ. რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების სრულყოფილი ინფორმირება.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
o უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. o უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი და განვითარების სამსახურის სტრატეგიული განვითარების მიზნები შეესაბამებოდეს აკადემიისა და სამეცნიერო ცენტრების განვითარების სტრატეგიულ გეგმებს და ხედვას; დაწესებულებამ იზრუნოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სტრატეგიული განვითარების გეგმების კორელაციაზე და გადაამუშაოს გეგმა (დაამატოს გაზომვადი ინდიკატორები) დაწესებულების სამეცნიერო და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით. - **რეკომენდაცია შესრულებულია** ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ აკადემიის და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიზნების შესაბამისობის სისტემატიზაციისთვის გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, რომელშიც ჩართულნი იყვნენ სამეცნიერო-კვლევითი და განვითარების სამსახური, ასევე კვლევითი ცენტრები და სხვა სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნული შეხვედრების საფუძველზე მოხდა აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სამსახურის და კვლევითი ცენტრების მიზნების კორელაცია. აღნიშნული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანის ძირითადი მიზნები და ამოცანები დაკავშირებულია ერთთმანეთთან და ემსახურება უნივერისტეტის სტრატეგიულ განვითარებას. დაწესებულებას, ასევე შემუშავებული განვითარების სტრატეგიული გეგმის მიღწევის ინდიკატორები, რომელიც დროში გაწერილი და კონკრეტულია, იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და დაფინანსების წყაროები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტრატეგია; • სსიპ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კვლევების/შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია; • ვიზუალური კომუნიკაციის და მედიახელოვნების ინსტიტუტის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; • სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის კონსერვაციის ცენტრი; • ლურჯი სუფრის ექსპერიმენტალური სტუდია;- ლაბორატორია- დებულება; • ინტერვიუები .
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- რეკომენდებულია აკადემიამ გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა და ჩართულობა თანამედროვე კვლევებში; რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების/აქტივობების განხორციელება, ასევე საერთაშორისო კვლევით/სახელოვნებო ცენტრებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. – **რეკომენდაცია შესრულებულია**

აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებად უნივერისტეტმა გადაგა ქმედითი ნაბიჯები, გააფართოვა საერთაშორისო თანამსრომლობა და განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი.

2025 წელს, სამხატვრო აკადემიის ორგანიზებით, ჩატარდა საერთაშორისო დიზაინის კვირეული. ამ ღონისძიების ფარგლებში ბათუმს ესტუმრნენ ზალცბურგის, შტუტგარდის, სტამბულისა და ჩეხეთის უნივერსიტეტების პროფესორები და სტუდენტები. კვირეულის ფარგლებში გაიმართა უცხოელი პროფესორების ვორქშოფები და სამუშაო შეხვედრები.

ამასთან ერთად, დიდი ყურადღება დაეთმო სტუდენტების მობილობის საკითხის სამხატვრო აკადემიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები კვლევითი ვიზიტის ფარგლებში იმყოფებდნონ ვენეციისა და გრაცის უნივერისტეტებში. ასევე, უნივერისტეტის ვებ-გვერდზე მუდმივად ქვეყნდება გაცვლით პროგრამებში მოანწილეობის შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით დასრულდა მუშობა პროექტზე:"ჟურნალ ACADEMIA-ს სამეცნიერო აქსელერაცია". შედეგად, ჟურნალი „ACADEMIA" წარმოდგენილია არაერთ საერთაშორისო, ინდექსირებულ სამეცნიერო პლატფორმაზე, მათ შორის: Google Scholar, Crossref, Academic Resource Index, EuroPub და Cosmos. 2024–2025 წლების ნომერში გამოქვეყნებულ თითოეულ სტატიას, ისევე როგორც თავად ჟურნალს, მიენიჭა DOI-უნიკალური ციფრული იდენტიფიკატორი. რადგან პირველად გახდა შესაძლებელი, რომ საკვანძო სიტყვების გამოყენებით ჟურნალი და მისი სტატიები მარტივად მოიძებნოს საერთაშორისო საძიებო სისტემებში. შესაბამისად, იზრდება ავტორთა ციტირების მაჩვენებელი და მათი ცნობადობა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში.

ამ ეტაპზე უნივერისტეტში მიმდინარეობს ERASMUS+ კვლევითი პროექტი: "კვლევის ეთიკა და კეთილსინდისიერება საქართველოს უმაღლეს სკოლებში". აკადემია აღნიშნულ პროექტი ჩართულია როგორც ქართული მხარე და ახორციელებს სახელოვნებო კვლევების სპეციფიკის შესწავლას.

ინტერვიუებისას ასევე გამოიკვეთა სხვა მიმდინარე და სამომავლო პროექტები.ამასთან, 4–8 მაისს გაიმართება სახვითი ხელოვნების კვირეული. პარალელურად იგეგმება ინტერდისციპლინური პროექტი, რომელიც ხორციელდება პოლონეთის ჩიჩინის აკადემიასთან და იტალიის ნოვარას კონსერვატორიასთან თანამშრომლობით (აღნიშნული პროექტი უკვე წარდგენილია).

„Catres Foundation "-ის ფარგლებში, რომელიც აერთიანებს 18 სახელოვნებო დაწესებულებას, მიმდინარეობს ქვის რესტავრაციის პროექტი. გარდა ამისა, მიმდინარეობს თანამშრომლობა კორეელ პარტნიორებთან, რომელთა დაფინანსებით განხორციელდება პროექტები სახვითი, ციფრული და მედიის მიმართულებებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამხატვრო აკადემიის ინტერნაციონალიზაციის სტარეგია
- სამეცნიერო ჟურნალ "ACADEMIA"-ს ბილინგვური, რეცენზირებადი, საერთაშორისო ნომერი
- უნივერისტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტურობის ანალიზისა და გაზომვის სისტემა, რათა შეფასების შედეგები გამოიყენოსკვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის. - **შესრულებულია.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამეცნიერო/შემოქმედებითის აქმინობის შეფასების სისტემა. სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ეფუძნება რამდენიმე მნიშვნელოვან ინდიკატორს. უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია სამეცნიერო შედეგი და მისი ხილვადობა, რაც მოიცავს პუბლიკაციების რაოდენობას საერთაშორისო ბაზებში (Scopus, Web of Science) და ალტერნატიულ მაჩვენებლებს, როგორიცაა სოციალური მედიის აქტივობა და ციფრული რესურსების ჩამოტვირთვები. მნიშვნელოვანია სამეცნიერო საზომები, მათ შორის დარგობრივი ციტირებები და კვლევისა და სწავლების ეფექტიანობის ინდიკატორები. ინოვაციის მიმართულებით ფასდება ინდუსტრიის მიერ დაფინანსებული კვლევების შედეგად მიღებული პატენტები და ცოდნის ტრანსფერის დონე.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერნაციონალიზაციას, რაც გამოიხატება საერთაშორისო პერსონალის ჩართულობასა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობაში საერთაშორისო კვლევით პროექტებში. გარდა ამისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ღია მეცნიერება, რომელიც განისაზღვრება ღია წვდომის ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობით. შეფასების პროცესში გამოიყენება ინტეგრირებული მეთოდები: ხარისხობრივი მეტრიკა, რომელიც მათემატიკური ალგორითმების დახმარებით აერთიანებს ექსპერტულ შეფასებებს; ლოგიკური მოდელები, რომლებიც აკავშირებს მოკლევადიან შედეგებს (სტატიები, გრანტები) საშუალო და გრძელვადიან შედეგებთანსოციალურ გავლენამდე). შესრულების საზომი სისტემები, პროგრამულად მართული პლატფორმა (PMS), რეალურ დროში აგროვებს მონაცემებს, მათ შორის კვლევითი საქმიანობის ეკონომიკურ ეფექტს, ციტირების დინამიკასა და საერთაშორისო აქტივობებს. მომავალი წლიდან დაინერგება სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურობის შეფასების ახალი მექანიზმი. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს სამეცნიერო ჟურნალ „ACADEMIA“-ს სამეცნიერო აქსელერაციის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო აქტივობების განვითარებას და იძლევა რაოდენობრივი მაჩვენებლების გენერირების შესაძლებლობას. ინტერვიუებისას აღინისნა, რომ ამ ეპაზე მიმდინარეობს შემოქმედებითი კვლევების შეფასების მექანიზმების შემუშავება, რომელიც სამეცნიერო კვლევების შეფასების სისტემასთან ერთად ამოქმედდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურობის ანალიზისა და გაზომვის სისტემა; • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
o უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.

- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას ინკლუზიური და ხელმისაწვდომი გარემო ყველა კამპუსში და შეიმუშაოს კონკრეტული, რეალისტური გეგმა ამ მიზნის მისაღწევად. -**რეკომენდაცია შესრულებულია**.

გრიბოედოვისა და ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე შენობებში სრულად განხორციელდა რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. შენობებში სრულად გამოიცვალა ლიფტები და მოწესრიგდა ლიფტის შახტები. გარემონტადა შენობები, შეიცვალა ძველი საკომუნიკაციო სისტემები (ელექტრო გაყვანილობა, სუსტი დენები, გათბობის სისტემები, ასევე გამწოვი სისტემები), გამოიცვალა და მოწესრიგდა წყალმომარაგების, კანალიზაციის და სანიაღვრე სისტემები, მოეწყო სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა.

აღნიშნულ სასწავლო კორპუსებში და შენობებში გაბაშვილისა და ლაპიაშვილი ქუჩებზე შექმნილია შშმ პირთათვის აუცილებელი სასწავლო გარემო. კერძოდ, ყველა რეაბილიტირებულ სართულზე სათანადოდ მოწყობილია სველი წერტილები. განახლებული სამი ლიფტიდან ერთ-ერთი ეტლით მოსარგებლეთა პარამეტრების მქონეა. ამდენად შშმ პირთათვის ყველა სივრცეში უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა.

ლუბლიანას ქუჩაზე იჯარით აღებულ ფართი ადაპტირებული არ არის შშმ პირებისთვის. აღნიშნულ შენობაში ტარდება ქანდაკების მიმართულებისთვის ლექციები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამავე მიმართულების ლექციები ტარდება თსსა ისტორიულ შენობაში, რომელიც სავსებით ადაპტირებულია და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის მთლიანად აღნიშნულ შენობაში გადმოტანა. ქანდაკების სახელოსნოს ახალი სასწავლო შენობაში (მის: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. N64/ახმეტელის ქ.N10ა, მიწის ნაკვეთზე იგეგმება ქანდაკების მიმართულებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობის და ეზოს მშენებლობა, დღეის მდგომარეობით შეთანხმებულია ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში ესკიზური პროექტი (ბრძანება N7336336, 27/12/2024 წ.) სადაც შენობა სრულად იქნება აღჭურვილი ეტლით მოსარგებლეთათვის პანდუსები, ლიფტი და სველი წერტილები. გეგმით გათვალისწინებულია ყველა იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც განისაზღვრა რეკომენდაციით.

- რეკომენდებულია საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განახლება, განსაკუთრებით იმ კამპუსებში, სადაც ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად მოძველებულია და არ შეესაბამება სტანდარტებს (მაგალითად, კამპუსები ლაპიაშვილისა და ლუბლიანას ქუჩებზე). -**რეკომენდაცია შესრულებულია.**

გრიბოედოვის ქ.N-22-ში მდებარე ისტორიულ შენობაში დასრულდა, ხოლო მაღლივ შენობაში თითქმის დასრულებულია სარემონტო სამუშაოები (დარჩენილია დასუფთავების სამუშაოები); ფარნაოზ ლაპიაშვილის 1 ჩიხში მდებარე სასწავლო კორპუსში 2024 წელს ჩატარდა მცირე სარემონტო სამუშაოები. გარემონტდა და შშმ პირებისთვის ცალკე მოეწყო სველი წერტილები. აუდიტორიებში შეიცვალა იატაკის საფარი, ჭერი და შეიღება კედლები. შეკეთდა შენობის სახურავი და შეიცვალა ელექტრო გაყვანილობა. შშმ პირებისთვის კიბეებზე დამაგრდა შშმპ ამწეები. შშმ პირებისთვის მოეწყო სველი წერტილები და პანდუსი გაბაშვილის ქN10-ში მდებარე შენობაშიც.

- რეკომენდებულია აკადემიამ განახორციელოს შენობების სტრუქტურული მთლიანობისა და სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებები (კვალიფიციური სუბიექტების მიერ) და შემდგომ

შეიმუშაოს აუცილებელი მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა. - **რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.**

რეკომენდაციის საფუძველი გახდა ხარვეზები, რომლებიც ავტორიზაციის პროცესში გამოვლინდა: გათბობისა და ვენტილაციის სისტემები არ ჰქონდა ყველა შენობას და არ არსებობდა მათი გამართული ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე არ არსებობდა შენობების უსაფრთხოების სერტიფიკატები; არ იყო სათანადოდ დაცული სახანძრო უსაფრთხოების პირობები.

რეკომენდაციის შესრულების მიზნით, შპს „არქსტუდიის" მიერ ჩატარდა საექსპერტო დათვალიერება. შედეგად ალ. გრიბოედოვის ქ.22-ში არსებულ ისტორიულ სასწავლო კორპუსის სახანძრო წყალმომარაგების სისტემაში გამოვლინდა ხარვეზი. 2026 წლის იანვრიდან დაწესებულებამ დაიწყო მოლაპარაკება სახანძრო წყალმომარაგების სისტემის გამართვის მიზნით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამჟამად, შენობების ყველა სართულზე, სადაც სარემონტო სამუშაოები დასრულებულია არის დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა დეტალური გამოყენების ინსტრუქციით.

დაწესებულების მუშაობაში ჩანს გეგმა, ხარვეზების აღმოსაფხვრელად, თუმცა სტანდარტის მოთხოვნები სრულად არ არის შესრულებული.

რეკომენდებულია დაწესებულებამ აღმოფხვრას გრიბოედოვის ქუჩაზე სასწავლო კორპუსის სახანძრო წყალმომარაგების სისტემაში გამოვლენილი ხარვეზი და ჩაატაროს ხელახალი ტესტირება. ასევე, გააააქტიუროს მუშაობა ლუბლიანას ქუჩებზე იჯარით სარგებლობის სივრცეებში ინფრასტრუქტურაში ცვლილებების შესატანად.

- რეკომენდებულია შემუშავდეს სასწავლო მასალების შენახვისა და გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები და განთავსდეს ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილებში. -**რეკომენდაცია შესრულებულია.**

დაწესებულებამ მოახდინა იმ საგანამანთლებლო პროგრამების იდენტიფიცირება, რომლის ფარგლებშიც სასწავლო პროცესში გამოიყენება სპეციფიკური ქიმიური მასალები, დანადგარები და შესაბამისად, არსებობდა საჭიროება სასწავლო მასალების შენახვისა და გამოყენების, დანადგარების ექსპლუატაციის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებისა და ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილებში განთავსების შესახებ. ინფორმაცია ასახულია ასეთი სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან, დაწესებულებამ რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სასწავლო კომპონენტებისა და გამოყენებული მასალების სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშავეს დეტალური ინსტრუქციები - როგორც მასალების შენახვის წესისა და პირობების, ასევე მასთან მუშაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასევე, თითოეული ფაკულტეტზე განისაზღვრა პირი, რომლის პასუხისმგებლობა იქნება აღნიშნული წესების, ინსტრუქციების დაცვა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სტუდენტებისათვის. ტარდება ინსტრუქტაჟები (პრეზენტაციების სახით) სახელოსნოში/ლაბორატორიაში უსაფრთხო მუშაობის ზოგადი წესებისა და ქიმიური ნივთიერებების/მასალების უსაფრთხო შენახვის წესების შესახებ. ასევე, ყველა სახელოსნოში/ლაბორატორიაში კედელზე გაკრულია უსაფრთხო მუშაობის მოკლე ინსტრუქცია და მასალების/რეაქტივების თითოეულ კონტეინერზე უსაფრთხოების აღმნიშვნელი ნიშნების განმარტებები ("უსაფრთხოების ნიშნები"). შემუშავებულია და ლაბორატორიებში/სახელოსნოებში განთავსებულია სპეციფიკურ დანადგარებთან თუ სხვა მოწყობილობებთან უსაფრთხო მუშაობის პირობები და წესები.

- რეკომენდებულია აკადემიამ ყველა კამპუსში დაამონტაჟოს სათვალთვალო კამერების ადეკვატური რაოდენობა. - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

დაწესებულებამ შეიძინა და თსსა-ს კუთვნილ შენობებში დაამონტაჟა სათვალთვალო კამერები, რომლებიც ფარავს მთელ ტერიტორიას. ხოლო ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე სასწავლო კორპუსის

იმ ნაწილში, რომელშიც ახლა რემონტი მიმდინარეობს, დამონტაჟდება ადეკვატური რაოდენობის კამერები.

- რეკომენდებულია ყველა კამპუსი აღიჭურვოს სამედიცინო პუნქტებით ან ასეთი საშუალებები უზრუნველყოფილ იქნას კამპუსებს შორის საერთო სივრცეებში. - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

დაწესებულებამ სამ მისამართზე (გაბაშვილის ქN10, ფარნაოზ ლაპიაშვილის 1 ჩიხი, გრიბოედოვის ქ. 22-ში) თსსა-ს კუთვნილ შენობებში მოაწყო სამედიცინო ოთახები და აღჭურვა შესაბამისი სამედიცინო ინვენტარით. ასევე, სამივე ლოკაციაზე აიყვანა სამედიცინო პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე დათვალიერება;
- ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, სტანდარტი 7.1.
- დამადასტურებელი დოკუმენტაცია: საქაღალდე 7 – 7.1 - სამედიცინო ოთახი (ხელშკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები); 7.1 - სამედიცინო ბრძანებები (ბრძანებები და სამუშაო აღწერილობები);
- დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საქაღალდე 7 – 7.1 მიღება-ჩაბარების აქტი N25-29; ხელშეკრულება N25-17;
- დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საქაღალდე 7 – 7.1 შრომის უსაფრთხოება.

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია დაწესებულებამ აღმოფხვრას გრიბოედოვის ქუჩაზე სასწავლო კორპუსის სახანძრო წყალმომარაგების სისტემაში გამოვლენილი ხარვეზი და ჩაატაროს ხელახალი ტესტირება. ასევე, ლუბლიანას ქუჩაზე იჯარით სარგებლობის სივრცეებში გააააქტიუროს მუშაობა ინფრასტრუქტურაში ცვლილებების შესატანად.**

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- რეკომენდებულია აკადემიის ბიბლიოთეკა განთავსდეს შესაბამის ტერიტორიაზე მისი ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად აღჭურვილ იქნას საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

გარემონტდა ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი სივრცეები: წიგნსაცავი, სამკითხველო დარბაზი. სამუშაო დარბაზი აღიჭურვა ბიბლიოთეკის ინვენტარით. დასრულდა ახალ სივრცეში გადასვლის პროცესი. წიგნადი ფონდის განთავსებულია თაროებზე განყოფილებების მიხედვით. საცავში

გამოყოფილია ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის სამუშაო სივრცე ტექნიკური აღჭურვილობით (5 კომიუტერი, პრინტერი, სკანერი, პროექტორი). სამკითხველო სივრცე სტუდენტებისთვის და პედაგოგებისთვის ასევე აღჭურვილია კომპიუტერებით. შემენილია შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების მქონე 2 კომპიუტერი ბიბლიოთეკის რარიტეტული ფონდისთვის და ლ.საფრაზიანის ფოტო-არქივისთვის. თუმცა, სამკითხველო დარბაზი ჯერ არ არის ექსპლუატაციაში შესული. სასურველია პროცესი დაჩქარდეს და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულად ისარგებლონ საბიბლიოთეკო მომსახურებით. • რეკომენდებულია ბიბლიოთეკები განთავსდეს ცალკეულ კამპუსებში კომპიუტერული სივრცეების ჩათვლით, და/ან საერთო სივრცის შენობებში. - **რეკომენდაცია შესრულებულია.** თბილისის სამხატვრო აკადემიის ბიბლიოთეკის სტრუქტურული ერთეულები ორ მისამართზეა. ერთი გრიბოედოვის ქუჩაზე არსებულ ისტორიულ შენობაში, მეორე კი განთავსებულია გაბაშვილის ქუჩაზე მდებარე სასწავლო კორპუსში. **კონსერვაციის ცენტრის კაბინეტში,** მოწყობილია ბიბლიოთეკა სპეციფიური წიგნადი ფონდით და კომპიუტერებით. სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ სათანადო ინფორმაცია. ხელმისაწვდომია ელექტრონული ბაზები. წიგნადი ფონდი შინაარსობრივად შევსებულია რესტავრაცია/კონსერვაციის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღნიშნულ სივრცეში განთავსებული წიგნადი ფონდი აღრიცხულია საერთო ბაზაში OpenBiblio, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს წიგნადი ფონდის დამადასტურებელ საბუთს. ხოლო ფ. ლაპიაშვილის ქუჩაზე არსებულ სასწავლო კორპუსის წიგნადი ფონდი შეუერთდა გრიბოედოვის ქუჩაზე არსებულ ძირითად საბიბლიოთეკო ფონდს . სასწავლო პროცესის დროს პედაგოგებისა და სტუდენტების მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნება „დისტანციური ბიბლიოთეკარის“ მომსახურებით. პედაგოგები და სტუდენტები ინფორმირებულები არიან ელექტრონული საბიბლიოთეკო და სამეცნიერო ბაზების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ადგილზე დათვალიერება; • ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, სტანდარტი 7.2. • დამადასტურებელი დოკუმენტაცია: საქაღალდე 7 – 7.2 - ბიბლიოთეკის ინვენტარი, დანართი N2.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: სასურველია პროცესი დაჩქარდეს და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულად ისარგებლონ საბიბლიოთეკო მომსახურებით.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი
o უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. o ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. o უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • რეკომენდებულია აკადემიის ვებგვერდის ქართული და ინგლისური ვერსიები სრულად შეესაბამებოდეს ერთმანეთს. - **რეკომენდაცია შესრულებულია** ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებით დადასტურდა, რომ ვებ-გვერდის ინგლისური ვერსია შესაბამისობაში ქართულთან. ძირითადი ინფორმაცია ორივე ენაზე განთავსებული, თუმცა არის გვერდები, სადაც შესავსები/განსაახლებელია ინფორმაცია ინგლისურ ენაზე. სამუშაოს შესასრულებლად გამოიყო 2 პირი. ერთი - ქართულენოვანი მასალის ინგლისურ ენაზე ოპერატიულად თარგმნისთვის, ხოლო მეორე - მასალის ოპერატიულად ატვირთვისთის. რაც დასტურდება წარმოდგენილი იურიდიული დოკუმენტაციით (ბრძანებებით და სამუშაო აღწერილობით). ამის მიუხედავად, მაინც შეინიშნება ზოგიერთ გვერდზე მცირე ხარვეზები. იძებნება გვერდები, სადაც შესავსები/განსაახლებელია ინფორმაცია ინგლისურ ენაზე. სასურველია დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა ქართული და ინგლისური ვერსიების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად. • რეკომენდებულია ყველა ანგარიში და სტატისტიკური მონაცემები დროულად გამოქვეყნდეს და განახლდეს შესაბამის ვადებში. **მეტწილად შესრულებულია** ვებ-გვერდზე გამოყოფილია სივრცე - სტატისტიკური ინფორმაციის განსათავსებლად, თუმცა აქ ატვირთულია მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების სტატისტიკა 2016-2017 სასწავლო წლისათვის. ასევე, იურიდიული დოკუმენტაციის ქვეშ მოცემულ განყოფილებაში - „ანგარიშები“ გასაახლებელია ადმინისტრაციული სამსახურების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები. მაგ. საერთაშორისო დეპარტამენტის ბოლო ანგარიში 2024 წლისაა, ამავე პერიოდისაა დაწესებულების ფინანსური ანგარიში. არ იძებნება მართვის ორგანოების (აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) და სხვა სტრუქტურული ერთეულების წლიური ანგარიშების შესახებ ინფორმაცია. გასაახლებელია დოკუმენტაცია ბრძანებების ველშიც. **რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების** (დაწესებულების წლიური ანგარიშები, ფინანსური ანგარიშგებები, მიმდინარე და განხორციელებული კვლევები, ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები და. ა.შ) **ვებ-გვერდზე დროული განთავსება, რათა სრულად უპასუხოს კომპონენტის მოთხოვნას - ინფორმაციის განახლება მოხდეს რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • დაწესებულების ვებ-გვერდი: • ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, სტანდარტი 7.2. • დამადასტურებელი დოკუმენტაცია: საქაღალდე 7 – 7.3 - ბრძანებები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების ვებ-გვერდზე დროული განთავსება, რათა სრულად უპასუხოს კომპონენტის მოთხოვნას - ინფორმაციის განახლება მოხდეს რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

რჩევები:

სასურველია დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა ქართული და ინგლისური ვერსიების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- გამჭვირვალობის გაძლიერების მიზნით და კომპეტენციების განაწილების პრინციპის დასაცავად, რეკომენდებულია ბიუჯეტში მკაფიოდ იყოს მითითებული სხვადასხვა საქმიანობისთვის გამოყოფილი ხარჯების ოდენობები. ამასთან, მასში დეტალურად იყოს გაწერილი სტუდენტთა მხარდაჭერის აქტივობებისთვის, სამეცნიერო განვითარების ხელშეწყობისთვის და საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესებისთვის გამოყოფილი თანხები. - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

2025 წლის ბიუჯეტში მაქსიმალურად ასახულია სხვადასხვა საქმიანობისთვის (სტუდენტთა მხარდაჭერის აქტივობებისთვის, სამეცნიერო განვითარების ხელშეწყობისთვის და საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესებისთვის) გამოყოფილი ხარჯები.

აქვე აღსანიშნავია, რომ ვინაიდან საქართველოში ამჟამად მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში, არსებითად შეიცვლება საზოგადოდ უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემა, დაწესებულება მოკლებულია შესაძლებლობას წარმოვადგინოს 2026 წლის ბიუჯეტი.

- რეკომენდებულია აკადემიის სტრატეგიული გეგმების მისაღწევად საჭირო ხარჯვითი მოთხოვნების დადგენა, და არა მხოლოდ დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება. ამასთან, უზრუნველყავით, რომ ეს ხარჯები დაკავშირებული იყოს ბიუჯეტში გაზომვად ინდიკატორებთან მათი ეფექტურობის [...]. - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

2025 წლის განმავლობაში, სამუშაო პროცესის ეტაპობრივი განვითარების შედეგად, სამხატვრო აკადემიამ განსაზღვრა სტრატეგიული გეგმების ეფექტიანი რეალიზებისთვის აუცილებელი ფინანსური საჭიროებები. თითოეულმა სტრუქტურულმა ერთეულმა შეიმუშავა საკუთარი ბიუჯეტი, გაითვალისწინა როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტიული ხარჯები და ისინი სამწლიან (2025–2027) ჭრილში გაწერა. გარდა

ამისა, 2025 წლის მოქმედ ბიუჯეტში კომპონენტების მიზნობრივმა სეგრეგირებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ფინანსური გამჭვირვალობა და მართვადობა, რაც დადებითად აისახა ინსტიტუციური მმართველობის ხარისხზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუები; • ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, სტანდარტი 7.4; • თსსა ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	უმაღლესი განათლების საფეხური	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1.	არქიტექტურა	ბაკალავრიატი	ქართული	არქიტექტურის ბაკალავრი - 0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება	249	აკრედიტებული	№140 10/21/2011
2.	ინტერიერის დიზაინი	ბაკალავრიატი	ქართული	ინტერიერის დიზაინის ბაკალავრი - 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/ სამრეწველო დიზაინი	240	აკრედიტებული	№10250, 19/12/2023

3.	გარემოს დიზაინი	ბაკალავრიატი	ქართული	არქიტექტურის ბაკალავრი - 0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარეგა	250	აკრედიტებული	№142 10/21/2011
4.	სამოქალაქო არქიტექტურა	მაგისტრატურა	ქართული	არქიტექტურის მაგისტრი - 0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარეგა	129	აკრედიტებული	№329, 08/09/2012
5.	ურბანული არქიტექტურა	მაგისტრატურა	ქართული	არქიტექტურის მაგისტრი - 0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარეგა	130	აკრედიტებული	№331, 08/09/2012
6.	ლანშაფტური არქიტექტიურა	მაგისტრატურა	ქართული	ლანშაფტური არქიტექტურის მაგისტრი - 0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარეგა	129	აკრედიტებული	№319, 08/09/2012
7.	ინტერიერის დიზაინი	მაგისტრატურა	ქართული	ინტერიერის დიზაინის მაგისტრი - 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/ სამრეწველო დიზაინი	123	აკრედიტებული	№10251, 19/12/2023
8.	არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინი	მაგისტრატურა	ქართული	არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის მაგისტრი - 0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარეგა	132	აკრედიტებული	№315,08/09/ 2012
9.	სამრეწველო დიზაინი	ბაკალავრი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი სამრეწველო დიზაინში - 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/ სამრეწველო დიზაინი	240	აკრედიტებული	№ 41729, 28/12/2023
10.	მოდის დიზაინი	ბაკალავრი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი მოდის	240	აკრედიტებული	№ 41738, 28/12/2023

				დიზაინში - 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/ სამრეწველო დიზაინი			
11.	ტექსტილის დიზაინი	ბაკალავრი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი ტექსტილის დიზაინში - 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/ სამრეწველო დიზაინი	240	აკრედიტებული	№ 41746, 28/12/2023
12.	მხატვრული მინა	ბაკალავრი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი მხატვრულ მინაში - 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა)	240	აკრედიტებული	№ 33724, 26/12/2023
13.	მხატვრული კერამიკა	ბაკალავრი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი მხატვრულ კერამიკაში - 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა)	240	აკრედიტებული	№ 33730, 26/12/2023
14.	საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება	ბაკალავრი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი საიუველირო ხელოვნებაში - 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა)	240	აკრედიტებული	№ 33739, 26/12/2023
15.	ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება	ბაკალავრი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი ხის მხატვრულ დამუშავებაში - 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა)	240	აკრედიტებული	№ 33748, 26/12/2023
16.	სამრეწველო დიზაინი	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი სამრეწველო დიზაინში - 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/	120	აკრედიტებული	№ 41733, 28/12/2023

				სამრეწველო დიზაინი			
17.	მოდის დიზაინი	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი მოდის დიზაინში - 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/ სამრეწველო დიზაინი	120	აკრედიტებული	№ 41741, 28/12/2023
18.	ტექსტილის დიზაინი	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი ტექსტილის დიზაინში - 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/ სამრეწველო დიზაინი	120	აკრედიტებული	№ 41750, 28/12/2023
19.	მხატვრული მინა	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი მხატვრულ მინაში - 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა) გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა)	120	აკრედიტებული	№ 33727, 26/12/2023
20.	მხატვრული კერამიკა	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი კერამიკულ ხელოვნებაში - 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა)	120	აკრედიტებული	№ 33733, 26/12/2023
21.	საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნებაში - 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა)	120	აკრედიტებული	№ 33741, 26/12/2023
22.	ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი ხის მხატვრულ დამუშავებაში - 0214	120	აკრედიტებული	№ 33753, 26/12/2023

				გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა)			
23.	მხატვრული კერამიკა	მაგისტრატურა	ინგლისური	ხელოვნების მაგისტრი მხატვრულ კერამიკაში - 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა)	120	აკრედიტებული	09/07/2024, № 835870
24.	ტექსტილის დიზაინი	მაგისტრატურა	ინგლისური	ხელოვნების მაგისტრი ტექსტილის დიზაინში - 0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/ სამრეწველო დიზაინი	120	აკრედიტებული	02/08/2024, № 943553
25.	ფოტოხელოვნება	ბაკალავრიატი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი ფოტოხელოვნებაში - 0211 აუდიოვიზუალ ური მეთოდები და მედიაპროდუქცი ა/წარმოება	240	აკრედიტებული	№ 21610, 22/12/2023
26.	მედიახელოვნება/ ციფრული მედია	ბაკალავრიატი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი მედიახელოვნებაში - 0211 აუდიოვიზუალ ური მეთოდები და მედიაპროდუქცი ა/წარმოება	240	აკრედიტებული	12/01/2024 № 21622
27.	გრაფიკული დიზაინი	ბაკალავრიატი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში - 0211 აუდიოვიზუალ ური მეთოდები და მედიაპროდუქცი ა/წარმოება	240	აკრედიტებული	№ 21612, 22/12/2023
28.	მედიახელოვნება/ ციფრული მედია	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი მედიახელოვნებაში -	120	აკრედიტებული	№ 21625, 22/12/2023

				0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება			
29.	მედიახელოვნება/ ციფრული მედია	მაგისტრატურა	ინგლისური	ხელოვნების მაგისტრი მედიახელოვნებაში 0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება	120	აკრედიტებული	№ 29240, 22/12/2023
30.	მედიახელოვნება/ ციფრული მედია	დოქტორანტურა	ქართული	მედიახელოვნების დოქტორი 0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება	20	აკრედიტებული	№ 21641, 22/12/2023
31.	მედიახელოვნება/ ციფრული მედია	დოქტორანტურა	ინგლისური	მედიახელოვნების დოქტორი - 0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება	20	აკრედიტებული	№ 21644, 22/12/2023
32.	ხელოვნების ისტორია და თეორია	ბაკალავრიატი	ქართული	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში - 0213 სახვითი ხელოვნება სახვითი ხელოვნება	240	აკრედიტებული	№1567740, 16/11/2023
33.	ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია	ბაკალავრიატი	ქართული	ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის ბაკალავრი - 0222 ისტორია და არქეოლოგია	240	აკრედიტებული	№ 174746, 07/02/2023
34.	არქიტექტურის რესტავრაცია	ბაკალავრიატი	ქართული	არქიტექტურის რესტავრაციის ბაკალავრი - 0739 არქიტექტურა და მშენებლობა –	240	აკრედიტებული	№ 159, 21/10/2011

				არაკლასიფიცირებული			
35.	ქართული ხელოვნების ისტორია (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)	მაგისტრატურა	ქართული	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში - 0213 სახვითი ხელოვნება	120	აკრედიტებული	№ 1567839, 16/11/ 2023
36.	ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის მაგისტრი - 0222 ისტორია და არქეოლოგია	120	აკრედიტებული	№174752, 07/02/2023
37.	თანამედროვე კულტურის კვლევები	მაგისტრატურა	ქართული	კულტურის კვლევების მაგისტრი - 1103 კულტურის კვლევები	120	აკრედიტებული	№335, 09/08/2012
38.	ხელოვნება, კულტურა, იდენტობები	მაგისტრატურა	ქართული	კულტურის კვლევების მაგისტრი - 1103 კულტურის კვლევები	120	აკრედიტებული	№336, 09/08/2012
39.	არქიტექტურის რესტავრაცია	მაგისტრატურა	ქართული	არქიტექტურის რესტავრაციის მაგისტრი 0739 - არქიტექტურა და მშენებლობა – არაკლასიფიცირებული	120	აკრედიტებული	№324, 09/08/2012
40.	კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	დოქტორანტურა	ქართული	რესტავრაცია/კონსერვაციის დოქტორი - 1106 რესტავრაცია/კონსერვაცია	50	აკრედიტებული	№ 53, 13/04/2018
41.	სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნების ისტორია)	დოქტორანტურა	ქართული	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი - კოდი 0213 სახვითი ხელოვნება	50	აკრედიტებული	№ 1567983, 16/11/2023
42.	კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)	დოქტორანტურა	ქართული	კულტურის კვლევების დოქტორი - 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები	50	აკრედიტებული	№ 1385350, 01/11/2022

43.	ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	_	ქართული	_	60	აკრედიტებული	№ 39935, 31/12/2022
44.	ფერწერა	ბაკალავრიატი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი ფერწერაში - 0213 სახვითი ხელოვნება	240	აკრედიტირებული	№54359, 29/12/2023
45.	გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება	ბაკალავრიატი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკაში - 0213 სახვითი ხელოვნება	240	აკრედიტირებული	№54369, 29/12/2023
46.	ვიზუალური ხელოვნება	ბაკალავრიატი	ქართული	სახვითი ხელოვნების ბაკალავრი - 0213 სახვითი ხელოვნება	240	აკრედიტირებული	№54364, 29/12/2023
47.	ქანდაკება	ბაკალავრიატი	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი ქანდაკებაში - 0213 სახვითი ხელოვნება	240	აკრედიტირებული	№54382, 29/12/2023
48.	ფერწერა	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი ფერწერაში - 0213 სახვითი ხელოვნება	120	აკრედიტირებული	№54361, 29/12/2023
49.	თეატრის მხატვრობა (სცენოგრაფიის ხელოვნება)	მაგისტრტურა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი თეატრის მხატვრობაში - 0213 სახვითი ხელოვნება	120	აკრედიტირებული	№54365, 29/12/2023
50.	გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი გრაფიკაში - 0213 სახვითი ხელოვნება	120	აკრედიტირებული	№54377, 29/12/2023
51.	ქანდაკება	მაგისტრატურა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი ქანდაკებაში - 0213 სახვითი ხელოვნება	120	აკრედიტირებული	№54385, 29/12/2023
52.	ფერწერა	ბაკალავრიატი	ინგლისური	ხელოვნების ბაკალავრი ფერწერაში -	240	აკრედიტირებული	№ 835916, 09/07/2024

				0213 სახვითი ხელოვნება			